ვფიცავ მას, ვის ხელშიც არის ჩემი სული, ძალიან მალე ჩამოვა თქვენ შორის ძე მარიამისა სამართლიან მსაჯულად, ის დაამტვრევს ჯვარს, გაანადგურებს ღორებს და გააუქმებს ჯიზიას (არა-მუსლიმების გადასახადს), რის შემდეგაც სიმდიდრე იქნება ისეთი მრავალი, რომ არავინ აიღებს მას

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვფიცავ მას, ვის ხელშიც არის ჩემი სული, ძალიან მალე ჩამოვა თქვენ შორის ძე მარიამისა სამართლიან მსაჯულად, ის დაამტვრევს ჯვარს, გაანადგურებს ღორებს და გააუქმებს ჯიზიას (არა-მუსლიმების გადასახადს), რის შემდეგაც სიმდიდრე იქნება ისეთი მრავალი, რომ არავინ აიღებს მას».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუმავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იფიცება, რომ 'ისას მარიამის ძის (მშვიდობა მას) ჩამოსვლა ახლოს არის, რათა მან განსაჯოს ადამიანთა შორის მუჰამმადის შარიათით სამართლიანად, რომ დაამტვრიოს ჯვარი, რომელსაც განადიდებენ ქრისტიანები, და რომ მოკლას ღორი, ის გააუქმებს ხარკს და მოუწოდებს ხალხს ყველა ერთად შევიდეს ისლამში. ქონება ძალიან გამრავლდება და ის აღარავის აღარ ენდომება; ეს იქნება მისი სიმრავლის გამო და ყველასთვის საკმარისი იქნება რასაც ის ფლობს, მასთან ერთად მოევლინება უამრავი ბარაქა და სიკეთე.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/65025